

ქვეპროგრამის „თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“ ფარგლებში კონკურსის გამოცხადებისა და განაცხადის განხილვის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ქვეპროგრამის - „თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“ ფარგლებში საუკეთესო ინიციატივების შერჩევა განხორციელდება კონკურსის მეშვეობით.
2. კონკურსს ატარებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში - მერი) ბრძანებით შექმნილი კომისია.
3. ქვეპროგრამა „თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“ ითვალისწინებს ორგანიზაციებიდან და ფიზიკური პირებიდან შემოსული საუკეთესო ინიციატივების (პროექტების) მხარდაჭერას, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს განათლების, ხელოვნებისა და კულტურის განვითარებას და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას.
4. პროექტი უნდა განხორციელდეს და დასრულდეს 2015 წლის განმავლობაში.
5. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიიდან (შემდგომში - მერია) მოთხოვნილი თანხა უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 10 000 ლარს.
6. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

მუხლი 2. კონკურსის მიზანი

1. კონკურსის მიზანია განათლების, ხელოვნებისა და კულტურის სფეროში ინოვაციური და კრეატიული პროექტების ხელშეწყობა; განათლების, ხელოვნებისა და კულტურის პროექტების მეშვეობით საზოგადოებაში სამოქალაქო ღირებულებების დამკვიდრება და საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებებში მოქალაქეების მონაწილეობისათვის ახალი შესაძლებლობების შექმნა.

მუხლი 3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭირო დოკუმენტთა ნუსხა

1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მერიაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:
 - ა) შევსებული სააპლიკაციო ფორმა;
 - ბ) ავტობიოგრაფია (CV);
 - გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - დ) პორტფოლიო (შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი აუდიო-ვიზუალური მასალა), ასეთის არსებობის შემთხვევაში;
 - ე) სარეკომენდაციო წერილი;
 - ვ) თანადაფინანსების შემთხვევაში - დამადასტურებელი საბუთი.
2. დოკუმენტები უნდა იყოს წარმოდგენილი როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული ფორმით (PDF ფაილის სახით).

3. მერია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

მუხლი 4. კონკურსის ეტაპები

1. კონკურსი მოიცავს ორ ეტაპს:
 - ა) დოკუმენტების მიღება - პირველი ეტაპი;
 - ბ) დოკუმენტების განხილვა - მეორე ეტაპი.
2. დოკუმენტების მიღებას აწარმოებს მერიის აპარატის საქმისწარმოების განყოფილება. დოკუმენტაცია შემდეგ გადაეცემა მერის ადმინისტრაციის განათლებისა და კულტურის განყოფილებას, რომელიც წარუდგენს კომისიას ინფორმაციას განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის წინამდებარე წესით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე.
3. არასრული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში კომისია არ განიხილავს განმცხადებლის განაცხადს.
4. კონკურსის მეორე ეტაპზე ხორციელდება დოკუმენტების დეტალური განხილვა.
5. კონკურსში მონაწილის შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:
 - ა) პროექტის იდეა - მაქსიმალური შეფასება 10 ქულა;
 - ბ) პროექტის აქტუალურობა - მაქსიმალური შეფასება 10 ქულა;
 - გ) პროექტის ინოვაციურობა და კრეატიულობა - მაქსიმალური შეფასება 10 ქულა;
 - დ) პროექტის თანადაფინანსება - მაქსიმალური შეფასება 10 ქულა;
 - ე) პროექტში საზოგადოების ჩართულობა - მაქსიმალური შეფასება 10 ქულა
6. შეფასების საბოლოო შედეგი განისაზღვრება ქულათა დაჯამებით.

მუხლი 5. კონკურსის ჩატარებისა და კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადები

1. განაცხადების მიღება იწარმოებს ყოველი თვის პირველი სამუშაო დღიდან თვის ბოლო სამუშაო დღის ჩათვლით 09⁰⁰ საათიდან - 18⁰⁰ საათამდე, 2015 წლის საკონკურსო ბიუჯეტის ამოწურვამდე.
2. კომისია შემოსულ განაცხადებს განიხილავს და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ განმცხადებელს აცნობებს განაცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 6. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი

1. კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
2. კომისია:
 - ა) ამტკიცებს იმ კონკურსანტთა სიას, რომელთა განაცხადები არ შეესაბამება წინამდებარე წესით დადგენილ მოთხოვნებს და იღებს გადაწყვეტილებას მათი კონკურსიდან მოხსნის თაობაზე;

ბ) განიხილავს კონკურსანტების განაცხადებს (საკონკურსო დოკუმენტაციას) და ახდენს მათ შეფასებას;

გ) წარუდგენს მერს ინფორმაციას კონკურსის შედეგების შესახებ.

3. კომისია უფლებამოსილია, თუკი სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი მაინც.

4. ინიციატივების განხილვისას უპირატესობა მიენიჭება თანადაფინანსების მქონე პროექტებს, პროექტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ განათლების სფეროში თანამედროვე მეთოდოლოგიის, მიდგომების და ტენდენციების განხორციელებას, ხელოვნებისა და კულტურის სფეროში ახალი მიმართულებების ჩამოყალიბებასა და განვითარებას, ასევე ტრადიციული ხელოვნების და კულტურული მემკვიდრეობის დღევანდელობასთან ადაპტირებას თანამედროვე შემოქმედებისა და ახალი ტექნოლოგიების საშუალებით.

5. გამარჯვებულად მიიჩნევა ის კონკურსანტი, რომელიც მიიღებს მაქსიმალურ ქულათა არანაკლებ 60 პროცენტს.

6. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტს წარმოადგენს კომისიის თავმჯდომარის პოზიცია.

მუხლი 7. კონკურსში გამარჯვებული პროექტის ავტორთან ხელშეკრულების გაფორმება

1. კონკურსში გამარჯვებული პროექტის ავტორთან კანონმდებლობით დადგენილი წესით ფორმდება ხელშეკრულება.

2. კონკურსში გამარჯვებული პროექტის ავტორთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დასაშვებია წინასწარი ანგარიშსწორება შესაბამის თანხაზე მხოლოდ საბანკო/სადაზღვევო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში.

მუხლი 8. კონკურსის მონაწილის/კონკურსში გამარჯვებულის ვალდებულებანი

1. კონკურსის მონაწილე ვალდებულია მერიის მიერ განსაზღვრულ ვადებში წარმოადგინოს მოცემული წესით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

2. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შემდეგ წარმოადგინოს მის მიერ განხორციელებული პროექტის შესახებ საბოლოო პროგრამული და ფინანსური ანგარიშები და გაწეული ხარჯების დამადასტურებელი მასალები.